ქ. მცხეთა 14.06.2012წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 5 ივნისს გამოცხადებულ №509 კონკურსში „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელში და სოფ. გალავანში საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე კონკურსის მიმდინარეობაში, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

კომისიის თავმჯდომარე:	თ . აბაშიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ლ. ტყემალაძე
კომისიის მდივანი:	ქ. ეკალაძე
კომისიის წევრები	ხ. ბოჭორაძე
	ი. ჯიშკარიანი
	ხ. მარსაგიშვილი
	გ. პაპაშვილი
	ი. ციციშვილი
	მ. თუხარელი
	ი. ოდიშელიძე

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა 14 ივნისი 2012 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თეიმურაზ აბაშიძე	–	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე;
ლერი ტყემალაძე	–	ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
ქეთევან ეკალაძე	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი;
სოფიო ბოჭორაძე	–	ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
ილია ჯიშკარიანი	–	ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
გიორგი პაპაშვილი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი;
ილია ციციშვილი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
მურაბ თუხარელი	–	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

ზურაბ მარსაგიშვილი – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 5 ივნისს გამოცხადებულ №509 კონკურსზე „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელში და სოფ. გალავანში საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე **კონკურსანტის შპს „არქსერვისი-2008"-ის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ **კონკურსანტის** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ **კონკურსანტის შპს „არქსერვისი-2008"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საგადახდო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლით" განსაზღვრული მონაცემებს.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა, რომ შპს „არქსერვისი-2008“ გამოვლინდეს გამარჯვებულად და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან ათ დღეში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე:	თ. აბაშიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ლ. ტყემალაძე
კომისიის მდივანი:	ქ. ეკალაძე
კომისიის წევრები	ხ. ბოჭორაძე
	ი. ჯიშკარიანი
	ზ. მარსაგიშვილი
	გ. პაპაშვილი
	ი. ციციშვილი
	მ. თუხარელი
	ი. ოდიშელიძე

ხელშეკრულება

ქ. მცხეთა 14 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არქსერვისი-2008", (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ნაზლაიძის სახით, კონკურსის საშუალებით დგებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელში და სოფ. გალავანში საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა" (CPV71200000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12 000 (თორმეტი ათასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის 25 ივნისს.

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ლერი ტყემალაძე.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 14 ივნისიდან და მოქმედებს 2012 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

„მიმწოდებელი"	*„შემსყიდველი"*
შპს „არქსერეისი -2008"	*მცხეთის მუნიციპალიტეტი*
ს/კ 236097781	*ს/კ 236094196*
სს „ლიბერთი ბანკი"-ს	*ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს*
მცხეთის ფილიალი	*მცხეთის ფილიალი*
*ბანკის კოდი: **LBRTGE22***	*კოდი: **LBRTGE22***
*ა/ა **GE16LB 0113 1133 4648 9000***	*ა/ა **GE93LB0120130269077000***
მის: ქ. მცხეთა, მუხრანის ქ.17	*მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73*
დირექტორი	*მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
	თავმჯდომარის მოადგილე
ზ. ნაზღაიძე	*გ. ატაშვილი*

მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. მცხეთა 20 ივნისი 2012 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი თეიმურაზ აბაშიძე და მეორეს მხრივ, შპს „არქსერვისი-2008", მისი დირექტორის ზაზა ნაზღაიძის სახით, (№509 კონკურსში გამარჯვებული) 2012 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

შპს „არქსერვის-2008"-ის დირექტორმა ზაზა ნაზღაიძემ ჩააბარა, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თეიმურაზ აბაშიძემ მიიღო, 2012 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული: მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელში და სოფ. გალავანში საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი /თ. აბაშიძე/

შპს „არქსერვისი-2008"-ის
დირექტორი /ზ. ნაზღაიძე/